სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
38630662305717

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N171175508**

რეგისტრაციის თარიღი

**05.10.2017 წ**

ნოტარიუსი: ქრისტინე მერკვილაძე
მისამართი: წყალტუბო, რუსთაველის ქ. N 25
ტელეფონი: 591 20 60 20

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

**ორი ათას ჩვიდმეტი წლის ხუთ ოქტომბერს** მე, ნოტარიუსს, ქრისტინე მერკვილაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N 25-ში, პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **გიორგი ბაბუნაშვილი**, რომელმაც განაცხადა, რომ არის შ.პ.ს. "ვაზნარი"-ს (ს.კ. 421272107) დირექტორი, ამჟამად იმყოფება **ისრაელში** და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში გასცეს მინდობილობა და დაადასტუროს იგი სანოტარო წესით. მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და პიადობის დამადასტურებელი დოკუმენტით (პასპორტი 10CC01634) დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **გიორგი ბაბუნაშვილმა** (დაბ. 28.08.1991 წელს, პირადი №53001051989, პასპორტი 10CC01634, რეგისტრირებული **წყალტუბო ილია ჭავჭავაძის II ჩიხი N 8**-ში) მომმართა. მე შევამოწმე **გიორგი ბაბუნაშვილის** უფლებამოსილება და დავრწმუნდი, რომ ის არის შ.პ.ს. "ვაზნარი"-ს (ს.კ. 421272107) დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B15230366, ამონაწერის მომზადების თარიღი: 30/11/2015 11:18:08 ვადასტურებ, რომ ნამდვილად **გიორგი ბაბუნაშვილი** მესაუბრა და მოხდენილი იქნა მისი იდენტობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებდნენ: **მალხაზ ჩხეიძე** (დაბ. 15.03.1984 წელს, პირადი ნომერი №53001012302, რეგისტრირებული **წყალტუბო ქ.ჩოლოყაშვილის ქ. N 1 ბ. 27**-ში), როგორც განმცხადებლის ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) და **იონა ჯოჯუა** (დაბ. 23.08.1988 წელს, პირადი ნომერი №53001030707, რეგისტრირებული **წყალტუბო ს. პირველი წყალტუბო მე–9 ქ. N 4**-ში), როგორც მოწმე.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე განვუმარტე, რომ „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის" 26-ე მუხლის შესაბამისად: მოწმე უნდა იყოს წერა-კითხვის მცოდნე, მოწმეს არ უნდა ჰქონდეს შეზღუდული სამოქალაქო ქმედუნარიანობა და სანოტარო მოქმედებით არ უნდა იღებდეს სარგებელს პირდაპირი და არაპირდაპირი სახით, მოწმე არ შეიძლება იყოს სანოტარო მოქმედების მონაწილე რომელიმე მხარისა და ან ნოტარიუსის ნათესავი აღმავალი და დაღმავალი ხაზით მესამე რიგის ჩათვლით. ყველა მათგანმა განაცხადა, რომ მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებები არ არსებობენ. მარწმუნებელს განვუმარტე, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. ამის შემდეგ **გიორგი ბაბუნაშვილმა** ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი შინაარსის მინდობილობა:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **გიორგი ბაბუნაშვილი,** როგორც შ.პ.ს. "ვაზნარი"-ს (ს.კ. 421272107) დირექტორი, საზოგადოების წესდების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ფარგლებში - ამ მინდობილობით ვენდობი **კობა ბაბუნაშვილს** (დაბ. 07.06.1983 წელს, პირადი ნომერი №53001023106, რეგისტრირებული **წყალტუბო ილია ჭავჭავაძის II ჩიხი N 8**-ში), წარმომადგინოს საქართველოს ნებისმიერი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირებთან, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმართველობის ორგანოებში (მონაწილეობა მიიღოს ტენდერებში, შეიტანოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/განაცხადი/განცხადება, ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს/შეთანხმებებს/მიღება-ჩაბარების აქტებს და სხვა დოკუმენტაციებს), იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში, მის ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში, ნებისმიერი ორგანიზაცია დაწესებულებების არქივში, იგი უფლებამოსილია წარადგინოს ყველა საჭირო ცნობები და დოკუმენტები, აგრეთვე განცხადებები ჩემს ნაცვლად, აწარმოოს ჩემთვის საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვასა და აღდგენასთან დაკავშირებული საქმეები. მიიღოს ჩემთვის განკუთვნილი ნებისმიერი საბუთი, გადაიხადოს კანონით დადგენილი სახელმწიფო ბაჟები და მოსაკრებლები, ხელი მოაწეროს ყოველგვარ საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყოველგვარი მოქმედება ამ დავალებებთან დაკავშირებით.

ასევე ვენდობი **კობა ბაბუნაშვილს** (დაბ. 07.06.1983 წელს, პირადი ნომერი №53001023106, რეგისტრირებული **წყალტუბო ილია ჭავჭავაძის II ჩიხი N 8**-ში), იყოს ჩემი როგორც შ.პ.ს. "ვაზნარი"-ს (ს.კ. 421272107) დირექტორის წარმომადგენელი ნებისმიერ ბანკში, მათ შორის ს.ს. „თიბისი ბანკში", ნებისმიერ ფილიალში, ნებისმიერ სერვისცენტრში, გახსნას ჩემი სახელით ნებისმიერი ტიპის ანგარიში, განკარგოს ჩემი კუთვნილი ნებისმიერი ტიპის ანგარიში აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია (მათ შორის თანხის, შეტანა, გატანა, გადარიცხვა, კონვერტაცია და ა.შ.), დახუროს ანგარიშები, გაუგრძელოს ვადა, ისარგებლოს და განკარგოს ჩემი კუთვნილი ნებისმიერი პლასტიკური ბარათით, გაიტანოს თანხები, აწარმოოს აქტიური ოპერაციები, დაკარგვის შემთხვევაში დაბლოკოს ბარათი, განბლოკოს, მიიღოს ბანკომატის მიერ დაკავებული ბარათები, გააუქმოს დახუროს ბარათები, შეუკვეთოს ახალი პლასტიკური ბარათი, შეცვალოს ბანკში არსებული მონაცემები, მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ამონაწერები, ცნობები, ჩართოს და გამორთოს ნებისმიერი დისტანციური მომსახურება მიიღოს დიჯიპასი და არსებულ დისტანციურ მომსახურებაში შეიტანოს ნებისმიერი ცვლილებები, მიიღოს ახალი პაროლები, ხელი მოაწეროს ყოველგვარ საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყოველგვარი მოქმედება ამ დავალებების შესრულებასთან დაკავშირებით.

მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით და ძალაშია ორი ათას ოცდაორი წლის ხუთი ოქტომბრის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა მიმნდობის მიერ მითითებული შინაარსის მიხედვით, ჩავიწერე მინდობილობის პროექტი, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე განმცხადებელს. განმცხადებელმა დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის გაცემისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობაზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **მალხაზ ჩხეიძეს.**

გადახდილია საზღაური საქართველოს კანონის სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადები საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 32-ე მუხლის შესაბამისად ორმოცდაათი ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური ორი ლარი თანახმად 39-ე მუხლისა, სულ 52.00 (ორმოცდათორმეტი) ლარი.

ხელს აწერს ______________________

მოწმე: ______________________

ნოტარიუსი: ქრისტინე მერკვილაძე